განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
08 მაისი 2020 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
26/06/2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მენეჯმენტის ბაკალავრი 0413
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა ბოკუჩავა, საქართველოს აგრარული უნივერისტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან გოგოლაძე, PMO კონსალტინგი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკოლოზ ბაგაური, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხორციელდება ,,მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა, რომლის მიზანია სტუდენტს მისცეს ცოდნა მსოფლიოს მთის ორგანული ფერმერული სისტემების მდგრადი მართვისათვის საჭირო ადაპტიტებულ აპრობირებული თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების, გაეროს მდგრადი განვითარების საქმიანობის, მოსახლეობისაგან მთის სოფლების დაცლის ტენდენციის შემცირება - შეჩერების, მთის ეკოლოგიურად სუფთა, მაგრამ ცვლად და რისკებით სავსე პირობებში, გარემოს დაცვის, დეგრადირებული, დაბალნაყოფიერი ნიადაგების გაუმჯობესების, ფიტო სანიტარული მელიორაციის, მტკნარი წყლის მენეჯმენტის შესახებ და მოამზადოს მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვისათვის საჭირო უნარებით აღჭურვილი სპეციალისტი. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

საბაკალავრო პროგრამა აგებულია შემდეგი პრინციპით: სავალდებულო სასწავლო კურსებს - 220 კრედიტი, აქედან 5 კრედიტი ეთმობა საველე პრაქტიკას, საწარმო პრაქტიკას ეთმობა 5 კრედიტი. ხოლო თავისუფალ კომპონენტებს ეთმობა 10 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი).

,,მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა" საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ:

- საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, საქართველოს
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები.
- ფერმერული გაერთიანებები და კოოპერატივები. სასათბურე თუ სხვა სახის ორგანული მეურნეობები.
- შპს „საქსოფლტექნიკის" და შპს „მექანიზატორის" სერვის ცენტრები.
- კვების, სურსათის უვნებლობის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები. ორგანული მეცხოველეობის ფერმები.
- სავაჭრო ქსელის შესაბამისი მომსახურების სფერო (აგრარული ბაზრები, სუპერ და ჰიპერმარკეტები).
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა გადამამუშავებელი საწარმოები და კომპანიები. აგრო–წარმოების მოწყობის სამსახურები.
- აგრარული პროფილის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები. სახელმწიფო, კერძო კვლევითი და საკონსულტაციო და მომსახურების ცენტრები. უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებები.
- დარგობრივ სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციები.
- რეგიონალური, მუნიციპალური და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სამსახურები, დარგობრივი ბიზნეს კონსულტაციბი, გაყიდვები, სავაჭრო პრესა, დარგთან დაკავშირებული
- სამსახურები, საგანმანათლებო დაწესებულებები.

- ორგანული კვების მრეწველობა.
- ორგანული მოსავლის წარმოება, მცენარეთა და გარემოს დაცვა, მცენარეების მოშენება,
- ორგანული ცხოველების კვება, მეცხოველეობა, ცხოველების მოშენება.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 8 მაისს. ვიზიტამდე, 7 მაისს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით დისტანციურად შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (დავით სიხარულიძე, ანა ბოკუჩავა, ლევან გოგოლაძე და ნიკოლოზ ბაგაური). თითოეული სტანდარტის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

8 მაისს აღნიშნულ დაწესებულებაში დისტანციურად ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით ვიზიტი დაიწყო 10:00 საათიდან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მთიანი რეგიონის ორგანული ფერმერული სისტემის მართვის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით:

- **პირველი სტანდარტი** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 1.1 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 1.2 კომპონენტები მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტთან.
- **მეორე სტანდარტი** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 2.2 ნაწილობრივ 2.4 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- **მესამე სტანდარტი** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 3.1 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- **მეოთხე სტანდარტი** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან რადგან 4.1, 4.2, 4.3 კომპონენტებიშესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 4.4 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **მეხუთე სტანდარტები** შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდირებულია გაუმჯობესდეს და დაიხვეწოს სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმი, კერძოდ სწავლის შედეგებში მკაფიოდ განისაზღვროს მენეჯმენტის სფეროს კომპეტენციები და ასევე კავშირი სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის), შემუშავდეს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები;
2. რეკომენდირებულია გაუმჯობესდეს პროგრამის შინაარსი პროგრამის სტრუქტურაში მენეჯმენტის სფეროს სასწავლო კურსების დამატებით;
3. რეკომენდირებულია შემდეგი სასწავლო კურსებისათვის ,,ბიოეკონომიკა", ,,მწვანე ეკონომიკა, "მთის ორგანული მინდვრად საკვები წარმოება", ,,ორგანული რძე და რძის პროდუქტების წარმოების მენეჯმენტი", ,,მთის ორგანული მეცხოველეობის საფუძვლების", ,,ცხოველთა გენეტიკა", „ცხოველთა მომშენებლობის", „ცხოველთა კვების" „ორგანული ხორცი და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგიის" განისაზღვროს წინაპირობები;
4. რეკომენდირებულია გაიზარდოს თავისუფალი კომპონენტების და არჩევითი დისციპლინების მოცულობა.
5. რეკომენდირებულია გაძლიერდეს დამსაქმებლების ჩართვა პროგრამის განვითარების პროცესში და გაფართოვდეს პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის არეალი;
6. რეკომენდირებულია საკონსულტაციო საათების გამოყენებით, უნივერსიტეტის მხრიდან მოხდეს სტუდენტთა ინფორმირება პროცედურული საკითხების შესახებ, აქ იგულისხმება სააპელაციო პროცედურების, როგორც სტუდენტთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების პრეზენტირება, რადგან , როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, მიღებული შეფასების გადამოწმება ამაღლებს შეფასების სანდოობის დონეს რაც, ცხადია, დადებითად მოქმედებს სწავლის ხარისხისა და შედეგის გაუმჯობესებაზე.
7. რეკომენდირებულია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის შემუშავება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურევლია შემუშავდეს ,,მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო პროგრამისათვის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
  - სასურველია აღნიშული პროგრამისათვის შრომის ბაზრის კვლევის შედეგებში მკაფიოდ გამოიკვეთოს დასაქმების ბაზრის მოთხოვნები.
  - სასურველია განიმარტოს სწავლება-სწავლის მეთოდი - კონსულტაცია
  - სასურველია ინტერნაციონალიზაციის მიზნით სტუდენტთა წახალისება სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით;
  - სასურველია ინფორმაციის დაზუსტება პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობის შესახებ და აისახოს შესაბამის დოკუმენტში;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
"მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული. პროგრამის მიზანია: სტუდენტს მისცეს ცოდნა მსოფლიოს (1) მთიანი ორგანული ფერმერული სისტემების მდგრადი მართვისათვის საჭირო ადაპტირებულ აპრობირებული თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების, გაერო მდგრადი განვითარების საქმიანობის, მოსახლეობისაგან მთის სოფლების დაცლის ტენდენციის შემცირება-შეჩერების, (2) მთის ეკოლოგიურად სუფთა, მაგრამ ცვლად და რისკებით სავსე პირობებში, გარემოს დაცვის, დეგრადირებული, დაბალნაყოფიერი ნიადაგების გაუმჯობესების, ფიტო სანიტარული მელიორაციის, მტკნარი წყლის მენეჯმენტის შესახებ და (3) მოამზადოს მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვისათვის საჭირო უნარებით აღჭურვილი სპეციალისტი". პროგრამა საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს გამოიმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულს დასაქმდეს, ორგანიზაციების როგორც ქვედა, ასევე საშუალო რგოლში. პროგრამის მიზნები სრულიად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. პროგრამის მიზნები არის რეალური, ვინაიდან უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი ფიზიკური და ადამიანური რესურსები, ასევე გამოცდილება განახორციელოს აღნიშნული პროგრამა.

საბაკალავრო პროგრამის მომზადებას წინ უძღოდა შრომის ბაზრის კვლევა. თუმცა აღნიშნული პროგრამისათვის კვლევაში არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი შრომის ბაზრის ტენდენციები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის მომზადება ნაკარნახევი იყო სახელმწიფო პოლიტიკით, რომელიც მიმართულია საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისაკენ და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისაკენ. მთიანი რეგიონების მიმართ განხორციელებული პოლიტიკა არის ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკის ნაწილი და მიმართულია საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისაკენ და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისაკენ. ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით ევროპული და ამერიკული მთიანი და ორგანული პროდუქციის წარმოების სასწავლო საგანმანათლებო უნივერსიტეტების პროგრამების ანალოგიური, საქართველოს ბუნებრივ კლიმატურ, სოციალურ და ეკონომიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით შეიქმნა ,,მთის ორგანული ფერმერული სისტემების მენეჯმენტი“. პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები. თუმცა, როგორც გასაუბრებიდან ირკვევა დამსაქმებლების ჩართულობა და დამსაქმებლებთან ურთიერთობა საჭიროებს გაუმჯობესებას. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გააჩნია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც უნივერსიტეტის მთლიანი სტრატეგიის შემადგენელი კომპონენტია. ინტერნაციონალიზაციის კუთხით აღნიშული პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს აქვს მხოლოდ ერთი მემორანდუმი გაფორმებული უცხოურ უნივერსიტეტთან. გამომდინარე იქიდან, რომ ,,მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის“ საბაკალვრო პროგრამა არის ახალი, სასურველია, რომ აღნიშნული პროგრამისათვის შემუშავდეს ინტერნაციონალიზაციის სამოქმედო გეგმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ,,მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო პროგრამა; • უნივერსიტეტის მისია; • ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა • საქართველოს მთავრობის განკარგულება # 51(04.04.2019) • დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები; • საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდი: www.ug.edu.ge.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურევლია შემუშავდეს ,,მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო პროგრამისათვის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;

○ სასურველია აღნიშული პროგრამისათვის შრომის ბაზრის კვლევის შედეგებში მკაფიოდ გამოიკვეთოს დასაქმების ბაზრის მოთხოვნები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
,,მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო პროგრამის მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში გათვალისწინებული იყო შრომის ბაზრის კვლევა, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშში შრომის ბაზრის ტენდენცია არ არის გამოკვეთილი. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას; პროგრამის ფარგლებში 10 სწავლის შედეგია გაწერილი. სწავლის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ის შეესაბამება პროგრამის დასახელებას და პროგრამის მიზნებს, თუმცა მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის მენეჯმენტის ბაკალავრი. სწავლის შედეგების ანალიზიდან ჩანს, რომ პროგრამა უვითარებს ძირითადად ორგანული ფერმერული სისტემის კონკრეტულ დარგობრივ კომპეტენციებს, ხოლო ორგანიზაციების საქმიანობისა და ფუნქციონირების დაგეგმვის, ხელმძღვანელობისა და მუშაობის/ოპერირების საკითხებს ნაკლებად უვითარებს. საბაკალავრო პროგრამაში მოცემულია მიმართება პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამის მიზნებს შორის, ასევე პროგრამის სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის. თუმცა, სწავლის შედეგებსა და პროგრამის მიზნებს შორის კავშირი მკაფიოდ და

ნათლად არ არის ჩამოყალიბებული, კერძოდ პროგრამის ყველა მიზანი დაკავშირებულია ყველა სწავლის შედეგთან რაც ჩვენი აზრით არარეალურად მიგვაჩნია. დაწესებულების მიერ გამოგზავნილ დოკუმენტებს შორის ასევე არ მოიძებნება სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, ცოდნა/უნარები და კომპეტენციები მკაფიოდ არ არის ფორმულირებული „მენეჯმენტის ბაკალავრის“ მისანიჭებელ კვალიფიკაციას შესაბამისად. სწავლის შედეგების რუკა საჭიროებს კორექტირებას, ანუ ზოგიერთ სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის ლოგიკური კავშირი სუსტია. კერძოდ გაუგებარია:

1. კავშირი უცხო ენებსა და მე-9 და მე-10 სწავლის შედეგებს შორის;
2. კავშირი ეკონომიკის საფუძვლებსა და მე-4 და მე-5 სწავლის შედეგებს შორის;
3. კავშირი სტატისტიკის საფუძვლებსა და მე-2 სწავლის შედეგს შორის;
4. რატომ უღრმავებს ან რა ლოგიკური კავშირი არსებობს მენეჯმენტის საფუძვლებსა და მე-5 და მე-7 სწავლის შედეგს შორის;
5. რატომ აცნობს ფინანსების საფუძვლები მე-5 და მე-6 სწავლის შედეგს;
6. რატომ აცნობს მარკეტინგის საფუძვლები მე-8 სწავლის შედეგს.
7. ამას გარდა პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში მოცემულია არჩევითი სასწავლო კურსები. ხოლო პროგრამის სწავლის შედეგებზე გავდივართ მხოლოდ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსებით.
8. კულტურა და თანამედროვეობა და სოციოლოგია ყველა სწავლის შედეგს რატომ ავითარებს.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროგრამაში მითითებულ პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;
სწავლის შედეგების შეფასება ხდება, როგორც პირდაპირ, ასევე, არაპირდაპირი მეთოდებით.

სწავლის შედეგების შეფასების ეფექტიანობის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა შედეგების შემუშავების პროცესში. აკადემიური პერსონალთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ ისინი კარგად იცნობენ სწავლის შედეგებს და სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრის დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი;
- აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
- დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები
- სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია გაუმჯობესდეს და დაიხვეწოს სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმი, კერძოდ სწავლის შედეგებში მკაფიოდ განისაზღვროს მენეჯმენტის სფეროს კომპეტენციები და ასევე კავშირი სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის), შემუშავდეს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული მეურნეობის სისტემის მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა მნიშნელოვანი ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე და ცნობარში. პროგრამაზე მიღების ზემოაღნიშნული პირობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. კერძოდ, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული მეურნეობის სისტემის მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://gtu.ge/ ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან ○ ადმინისტრაციული პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

,,მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის მიხედვით. (სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილების დანართი) ,,მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. მოიცავს - სავალდებულო სასწავლო კურსებს - 230 კრედიტი, მათ შორის:

- საველე პრაქტიკა – 5 კრედიტი
- საწარმოო პრაქტიკა -5კრედიტი
- არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტები – 10 კრედიტი
- უცხო ენების მოდული - 22 კრედიტი

პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში გათვალისწინებულია: 5 კრედიტიანი - 43; 6 კრედიტიანი – 3 და 4 კრედიტიანი – 3 სასწავლო კურსი.

პროგრამის მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს, მაგრამ, პროგრამაში შეიმჩნევა პროგრამის თავისუფალი და არჩევითი კომპონენტების სიმცირე. თავისუფალი კომპონენტები წარმოდგენილია 10 კრედიტით.

სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-6 მუხლის მიხედვით ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის მიზნების

შესაბამისად, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს სწავლის სფეროსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან“. პროგრამის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროგრამის დასახელება განისაზღვრა პროგრამის მიზნებიდან და ერთმანეთთან შესაბამისობაშია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსის, ამ სფეროს განვითარების ტენდენციების, ამ სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებებისა და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით“ დეტალური სფეროა მენეჯმენტი და ადმინისტრირება (0413) რაც გულისხმობს ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების საქმიანობისა და ფუნქციონირების დაგეგმვის, ხელმძღვანელობისა და მუშაობის/ოპერირების საკითხებს. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის მენეჯმენტის ბაკალავრი. იმისათვის რათა, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი მეტად დაუახლოვდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა პროგრამის სავალდებულო მოდული საჭიროებს ისეთი სასწავლო კურსებით უზრუნველყოფას, როგორიცაა:
პროექტის მართვა, ოპერაციათა მენეჯმენტი, ორგანიზაციული ქცევა, სტრატეგიული მენეჯმენტი, აგრობიზნესის მართვა. აგრობიზნესის მიწოდების ჯაჭვის მართვა, ფინანსური მენეჯმენტი აგრობიზნესისათვის, ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი და ა.შ პროგრამის სტრუქტურა უნდა შემუშავდეს იმგვარად, რომ მოხდეს მენეჯმენტის, ორგანული ფერმერული სისტემების მართვისა და ფერმერული სისტემების სფეროების სასწავლო კურსების ოპტიმალური გადანაწილება.

ასევე, სასწავლო კურსების უმეტესობას არ აქვს დაშვების წინაპირობა: მაგ.,
სასწვლო კურსების:

1. “ბიოეკონომიკის“ – „ეკონომიკის საფუძვლები“
2. მწვანე ეკონომიკის წინაპირობა შეიძლება იყოს ეკონომიკის საფუძვლები
3. ”მთის ორგანული მინდვრად საკვებ წარმოების“ – „საქართველოს მაღალმთის ნიადაგები“
4. „ორგანული რძე და რძის პროდუქტების წარმოების მენეჯმენტის“ წინაპირობაა „მიკრობიოლოგიის საფუძვლები“ და „ორგანული ქიმია“
5. „მთის ორგანული მეცხოველეობის საფუძვლების“- წინაპირობაა „ცხოველთა ანატომია“, „ცხოველთა გენეტიკა“, „მიკრობიოლოგიის საფუძვლები“
6. „ცხოველთა მომშენებლობის“ - წინაპირობაა „ცხოველთა ანატომია“, „ცხოველთა გენეთიკა“
7. „ცხოველთა კვების“ – „მიკრობიოლოგიის საფუძვლები“ და „ორგანული ქიმია“
8. „ორგანული ხორცი და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგიის“ - „ცხოველთა ანატომია“ და სხვა.

შესაბამისად, არ ჩანს სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და პროგრამის ლოგიკურობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი (სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილების დანართი);
- მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო პროგრამა;

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული პირების მტკიცებულებები (ოქმები)
- აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
- დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები
- სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია გაუმჯობესდეს პროგრამის შინაარსი პროგრამის სტრუქტურაში მენეჯმენტის სფეროს სასწავლო კურსების დამატებით;
- რეკომენდირებულია შემდეგი სასწავლო კურსებისათვის ,,ბიოეკონომიკა", ,,მწვანე ეკონომიკა, "მთის ორგანული მინდვრად საკვები წარმოება", ,,ორგანული რძე და რძის პროდუქტების წარმოების მენეჯმენტი", ,,მთის ორგანული მეცხოველეობის საფუძვლების", ,,ცხოველთა გენეტიკა", „ცხოველთა მომშენებლობის", „ცხოველთა კვების" „ორგანული ხორცი და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგიის" განისაზღვროს წინაპირობები;
- რეკომენდირებულია გაიზარდოს თავისუფალი კომპონენტების და არჩევითი დისციპლინების მოცულობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემის მართვის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სილაბუსში მოცემული კომპონენტები იმყოფებიან ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში, რაც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამაში მოცემული ძირითადი სფეროს სასწავლო კურსები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ 1.2 და 2.2 კომპონენტებში, გამომდინარე იქიდან, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის მენეჯმენტის ბაკალავრი, პროგრამის სტრუქტურასა და შესაბამისად სწავლის შედეგებშიც მენეჯმენტის სფერო სუსტად არის წარმოდგენილი. განვიხილეთ თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი. შინაარსის ანალიზი გვიჩვენებს, რომ შეესაბამება სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და უმაღლესის განათლების შესაბამის საფეხურს. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების უმრავლესობა 5 კრედიტის მოცულობისაა. თუმცა, პროგრამაში არის საგნები, რომელსაც მინიჭებული აქვს 6 კრედიტი (უცხო ენები, მთის და მდგრადი განვითარების საფუძვლები), 4 კრედიტი (ორგანული ქიმია, თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების საფუძვლები მთიანი რეგიონების განვითარებაში, სტატისტიკის საფუძვლები). თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. სილაბუსში მითითებული გამოყენებული ლიტერატურა (ძირითადი და დამატებითი) შესაბამისობაშია კურსის სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და შეესაბამება დარგის აქტუალურ მიღწევებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემის მართვის საბაკალვრო პროგრამა
- სილაბუსები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთი მიზანია მაღალკვალიფიციური კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება პრაქტიკული უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფილი. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მონაწილეობა მიიღონ სტუდენტურ კონფერენციებში და სამეცნიერო პრაქტიკულ სახის პროექტების განხორციელებაში. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს სთავაზობენ პრაქტიკაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს, კერძოდ საველე პრაქტიკას (5 კრედიტი) და საწარმო პრაქტიკას ,,სამთო სატყეო მეურნეობაში“ (5 კრედიტი). პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას გაუწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შეაფასებს სტუდენტის საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტთან, შპს ბიოაგრომცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრთან“. ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს, როგორც ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებას, ასევე სტუდენტთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას და პრაქტიკის ორგანიზების უზრუნველყოფას. თუმცა, დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება და დოკუმენტების შემოწმება გვაფიქრებინებს, რომ აღნიშული პროგრამის ფარგლებში ფაკულტეტმა უნდა გააფართოვოს და გააღრმავოს თანამშრომლობა პოტენციურ დამსაქმებლებთან და გააქტიუროს მათი ჩართვა პროგრამის განვითარების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ის სამეცნიერო ნაშრომების კრებული http://publishhouse.gtu.ge/ge/archive/shroma
- სტუ-ის სამეცნიერო ჟურნალები http://publishhouse.gtu.ge/ge.archive/techno
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- სტუ-ის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარების და შეფასების წესის შესახებ
- სტუ-ში პლაგიატის შემოწმების წესი;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2018 წელს ჩატარებული სამცნიერო სამუშაოების
- ანგარიში hppps://gtu.ge/Science-Dep/Angarishi 2018. Php

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია გაძლიერდეს დამსაქმებლების ჩართვა პროგრამის განვითარების პროცესში და გაფართოვდეს პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის არეალი;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემის მართვის საბაკალავრო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები ორიენტირებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღებაზე და შეესაბამება ბაკალავრიატის სწავლების საფეხურს. სწავლების მეთოდების აღწერილობითი ნაწილი შეესაბამება რეალობაში განხორციელებულ მეთოდებს, არის არსებული საფეხურების მიმართ რელევანტური და უზრუნველყოფს შედეგების მიღებას.

პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის:

- ლექცია
- სემინარი (ჯგუფშ მუშაობა)
- პრაქტიკული
- ლაბორატორიული
- პრაქტიკა
- საკურსო სამუშაო პროექტი
- კონსულტაცია
- დამოუკიდებელი მუშობა

აქტივობები

- დისკუსია/დებატები
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა
- დემონსტრირების მეთოდი
- ანალიზის მეთოდი
- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.
- წერითი მუშაობის მეთოდი,
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი
- პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია

მთლიანობაში პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-სთან კერძოდ ბრძანებაში ვკითხულობთ სწავლება-სწავლის მეთოდია ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.)

პროგრამაში ვკითხულობთ, რომ სწავლება-სწავლის ერთ-ერთი მეთოდია კონსულტაცია. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამაში არ არის განმარტებული რა იგულისხმება კონსულტაციაში რთულია შევაფასოთ რამდენად მიეკუთვნება სწავლება-სწავლის მეთოდს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემის მართვის საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები http://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf

რეკომენდაციები:

•
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია განიმარტოს სწავლება-სწავლის მეთოდი - კონსულტაცია;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც სრულად შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსის შეფასების ფორმებსა და სპეციფიკას, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. თითოეულ სემესტრში თითოეული საგნის შეფასების მაქსიმალური ქულაა 100. შეფასება ხდება 3 ფორმით: მიმდინარე აქტივობა, შუა სემესტრული გამოცდა და დასკვნითი გამოცდა.

შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური და მაქსიმალური კომპეტენციის ზღვრები: მიმდინარე აქტივობის მინიმალური დადებითი ჯამური შეფასებაა 15 ქულა, ხოლო მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა. შუა სემესტრული გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასებაა 7,5 ქულა, ხოლო მაქსიმალური ქულაა 30. დასკვნითი შეფასების მინიმალური დადებითი ქულაა 10, ხოლო მაქსიმალური ქულაა 40. სასწავლო კომპონენტების შეფასების სიტემა დეტალურად აღწერილა სასწავლო კურსების სილაბუსებში. შეფასების სიტემა ნათელი და გამჭვირვალეა და შეესაბამება, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სტანდარტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგები; ○ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები; ○ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები. ○ მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო პროგრამა; ○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://gtu.ge/AboutStu/Mission.php
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ მათ აქვთ შესაბამისი, ადეკვატური საკონსულტაციო დრო, როგორც აკადემიურ პერსონალთან, ასევე პროგრამის ხელმძღვანელებთან: ტარდება სხვადასხვა სახის გამოკითხვები, სტუდენტები ასევე კომუნიცირებენ აკადემიურ პერსონალთან ელექტრონული სისტემების გამოყენებით, რაც ხელ უწობს მათ მეტ ინფორმირებასა და დროის ოპტიმიზაციას. სტუდენტებს აქვთ საერთაშორისო მობილობაში, პროექტებში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო ღონისძიებებში, კონფერენციებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია საინფორმაციო დაფებზე. უნივერსიტეტის როგორც სტუდენტები, ასევე კურსდამთავრებულები ერთხმად თანხმდებიან უნივერსიტეტის მხრიდან სათანადო ინფორმირებულობაზე, იქნება ეს კონფერენციები თუ გაცვლითი პროგრამები. უნივერსიტეტის ვებგვერდის ანალიზის შედეგად, ვხედავთ, რომ განახლებადია Erasmus+ გაცვლითი პროგრამები, სადაც შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ, სტუდენტს შეუძლია მობილობაში მონაწილეობის მიღება. თუმცა, სტუდენტებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა , რომ გაცვლით პროგრამებში მათი ჩართულობა ძალიან დაბალია. დასაქმების მხარდაჭერის კუთხით, დადებულია შესაბამისი ხელშეკრულებები დამსაქმებლებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული დასაქმების შემდგომი

მხარდაჭერის კუთხით, რადგან პროგრამა ახალია და ხორციელდება სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერით, შესაბამისად, დასაქმების მხრივ მოსალოდნელი შედეგებიც მაღალია სამომავლოდ. პროგრამის მომიჯნავე მიმართულების კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ, ისინი იღებდნენ შესაბამის მხარდაჭერას სხვადასხვა სტაჟირების პროგრამების შემოთავაზების კუთხით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მხრიდან. ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ ფაკულტეტის სტუდენტები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი სააპელაციო პროცესების, როგორც სტუდენთა შედეგისა და მიღწევის გაუმჯობესების ბერკეტის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან ○ შეხვედრა სტუდენტებთან; ○ შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან. ○ აკადემიური პროგრამა და სილაბუსები ○ ვებგვერდი: https://gtu.ge/ ○ შეხვედრა დამსაქმებლებთან ○ პროგრამის ○ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის10 დეკემბრის No01-05-04/396 დადგენილება
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია საკონსულტაციო საათების გამოყენებით, უნივერსიტეტის მხრიდან მოხდეს სტუდენტთა ინფორმირება პროცედურული საკითხების შესახებ , აქ იგულისხმება სააპელაციო პროცედურების, როგორც სტუდენტთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების პრეზენტირება, რადგან , როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, მიღებული შეფასების გადამოწმება ამაღლებს შეფასების სანდოობის დონეს ,რაც, ცხადია, დადებითად მოქმედებს სწავლის ხარისხისა და შედეგის გაუმჯობესებაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია ინტერნაციონალიზაციის მიზნით სტუდენტთა წახალისება სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 47-ს, რაც დასტურდება მოწოდებული პერსონალის სიით. ხოლო თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა 32-ია. აქედან 27 არის აკადემიური პერსონალი, ხოლო 5 მოწვეული. კერძოდ: 17 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 27-ს, აფილირებული ასოცირებული პროფესორი 16-ს, ხოლო აფილირებული ასისტენტ პროფესორი 2-ს. აღნიშნული წარმოადგენს უნივერსიტეტის მხრიდან მოწოდებულ ინფორმაციულ უზუსტობას.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი უმეტესწილად აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი კვალიფიკაციით, ცოდნითა და გამოცდილებით, რაც დასტურდება მათი აკადემიური მუშაობის შედეგებით ბოლო 5 წლის განმავლობაში. აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას გამოვლინდა მცირედი შეუსაბამობები. კერძოდ, ერთ შემთხვევაში არ დასტურდება შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები (ვჭ - ინფორმატიკის საფუძვლები), გარდა ამისა აკადემიური პერსონალის შესახებ გამოგზავნილ მონაცემებში არ არის წარმოდგენილი ორი პროფესორის პირადი საქმე (პქ და გ გ).

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით დაგეგმილი სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ პირველ წელს პროგრამაზე არსებობს 25 სტუდენტის მიღების მოლოდინი. ამდენად პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა საკმარისი იქნება.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია დარგის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება, ბოლო 5 წლის სამეცნიერო საქმიანობით დასტურდება მისი გამოცდილება ორგანული ფერმერული სისტემების მართვის სფეროში. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მისი მკაფიო ცოდნა და არგუმენტაცია პროგრამაში არსებული საგნების მნიშვნელობისა და მათი მიზანშეწონილობის შესახებ, როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ასევე პრაქტიკული კუთხით. პროგრამის სტუდენტებს მოემსახურება 4 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი სწავლის პროცესის სათანადოდ მხარდასაჭერად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მთიანი რეგიონის ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია ინფორმაციის დაზუსტება პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობის შესახებ და აისახოს შესაბამის დოკუმენტში; • სასურველია გამოსწორდეს აკადემიური პერსონალის პირად საქმეებში გამოვლენილი შეუსაბამობები;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. რის შედეგადაც ხდება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების დაგეგმვა. უნივერსიტეტი ასევე სისტემატიურად ახდენს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას. შეფასების შედეგები გათვალისწინებულია პერსონალის დაწინაურებისა და წახალისებისას. საჭიროებისამებრ ხორციელდება ლექციებზე კოლეგიალური დასწრება, ხდება შეფასება, შედეგების ანალიზი და შესაბამის ლექტორთან კონსტრუქციული უკუკავშირი.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საფაკულტეტო კომისია, რომელიც ახდენს პერსონალის მიერ ჩატარებული ლექციების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შეფასებას. უნივერსიტეტში არსებული პროფესიული განვითარების ცენტრი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით. მაგალითად, სწავლისა და სწავლების თანამედროვე მიდგომები, სწავლის შედეგების შეფასება და ა.შ. რაც წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევით საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისთვის არსებობს აუცილებელი მატერიალური ბაზა – ბიბლიოთეკა, სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია. მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის პროგრამის განვითარებისთვის გამოიყო საბიუჯეტო სახსრები (150,000 ლარი აღნიშნული და დამატებით კიდევ სამი პროგრამისთვის), საიდანაც გარკვეული ნაწილი მოხმარდა აკადემიური პერსონალისთვის სახელმძღვანელოების შეძენას და ადაპტირებას. უნივერსიტეტში ხელშეწყობილია და ფინანსურად უზრუნველყოფილი აკადემიური-სამეცნიერო პერსონალის აქტიური ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ვორკშოფების, ტრენინგების, გამოფენების და სხვა სამეცნიერო შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზება-მუშაობაში, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი ნაშრომების და სხვა ბეჭდური მასალის გამოქვეყნებაში. აღნიშნული აქტივობების არსებობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პერსონალის კარიერულ ზრდაზე და შესაბამისად ფიქსირდება მზარდი დინამიკა მათი მხრიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მთიანი რეგიონის ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკლავრო პროგრამა ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები (დანართი 3) ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
ვინაიდან პროგრამის აკრედიტაციისთვის ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად, ექსპერტებს არ შეეძლოთ დაეთვალიერებინათ ინფრასტრუქტურა. თუმცა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ფაკულტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი მატერიალური რესურსით, კერძოდ აუდიტორიებით, ლაბორატორიით და ბიბლიოთეკით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია როგორც ფიზიკური სახის, ასევე ელექტრონული წიგნებით. სტუდენტებს საშუალება აქვთ დისტანციურად მოითხოვონ და მიიღონ მათთვის საჭირო პროფესიული ლიტერატურა. ასევე ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში, რაც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომს ხდის თანამედროვე პროფესიულ გამოცემებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მთიანი რეგიონის ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო პროგრამა ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსების შესახებ მიღებული პასუხები ინტერვიუების დროს ○ ბიბილიოთეკის ელექტრონული გზით დათვალიერება

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს დადგინდა რომ აგრარული ფაკულტეტის წლიური დაფინანსება ოთხ მილიონ ლარს შეადგენს, საიდანაც 3,5 მილიონი სახელმწიფოსგან ფინანსდება. გარდა ამისა მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო პროგრამის განვითარებისთვის სახელმწიფომ გამოყო საბიუჯეტო სახსრები (150,000 ლარი მოცემული და ასევე დამატებით სამი პროგრამისთვის). თუმცა, ფაკულტეტს შემუშავებული არ აქვს 2020-21 წლის საპროგნოზო

ბიუჯეტი, სადაც წარმოდგენილი იქნება პროგრამის მიხედვით შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა შესაძლებლობა შეეფასებინა ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლები, რამდენად მიღწევადია და ხარჯები რამდენად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მთიანი რეგიონის ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკლავრო პროგრამა ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები ფაკულტეტის/პროგრამის ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის შემუშავება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს პრინციპით "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". საბუთების შესწავლისა და ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესში, რაც გულისხმობს პროცესის დაგეგმვას, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, შეფასების პროცესის განხორციელებას და შეფასების შედეგების გამოყენებას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მონაწილეობს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი. საბუთებით დასტურდება პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით შეფასების პროცესის მონაწილე მხარეების შეხვედრები და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული განხილვები. ხდება შეფასების პროცესში გამოკვეთილი შედეგების გათვალისწინება პროგრამის განვითარების მიზნით. ჩართულობა დადასტურდა ინტერვიუების დროსაც, მონაწილეებმა დაასახელეს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მათ მიერ შეთავაზებული რეკომენდაციები და ცვლილებები რაც მათი ინიციატივით, ერთობლივი განხილვითა და შეფასების პროცესების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საფუძვლებზე განხორციელდა პროგრამაში. პროგრამის ხარისხის შეფასების მიზნით ხდება სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვა. გამოკითხული მხარეები (ფაკულტეტის სტუდენტები) ადასტურებენ პროგრამის ხარისხის განვითარების პროცესში მათ ჩართულობას და ასევე, მათ მიერ დასახელებული ნაკლოვანებების გათვალისწინებას. ასევე, გამოიკვეთა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის მიზნობრივი მოსამზადებელი სასწავლო პროგრამები) 2019 წლის 7 სექტემბრის ოქმი 1;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის მიზნობრივი მოსამზადებელი სასწავლო პროგრამები) 2019 წლის 21 ოქტომბრის ოქმი 5;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის აგროინჟინერიის დეპარტამენტის 2020 წლის 14 თებერვალი სხდომის ოქმი N 9-დან;
- საინჟინრო მექანიკისა და სამშენებლო ექსპერტიზის დეპარტამენტის სხდომის ო ქ მ ი N4–დან
  - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის № 2 ოქმიდან.
  - გამოკითხვის შედეგები
  - თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადასტურებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმის არსებობას. სამსახურთან შეხვედრისას გარე ხარისხის შეფასების მაგალითად დასახელდა აუდიტის სამსახურის მიერ პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარებული კვლევა. კერძოდ, 2016 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი იყო სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესის ანალიზის მეშვეობით შრომის ბაზარზე მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, ნაკლოვანებების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციებით მათი განვითარების ხელშეწყობა.

სამსახურის მიერ ასევე მოხდა კვლევის ანგარიშში გამოკვეთილი ნაკლოვანებებისა და კვლევის შედეგად მიღებულ რეკომენდაციების დასახელება რის გათვალისწინებაც მოხდა პროგრამაში და დასტურდება პროგრამით და სილაბუსებით. კვლევის შედეგების საფუძველზე მოხდა შეფასების სისტემის მოდიფიცირება.

აღნიშნული რეკომენდაციებიდან გამომდინარე სტუ-ში და მათ შორის ფაკულტეტზე განხორციელებულ იქნა გარკვეული აქტივობები: საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით ჩამოყალიბდა საფაკულტეტო კომისიები; შემუშავდა შეფასების პროცესის გაუმჯობესების მიზნით სტუდენტის და დამსაქმებლის, აგრეთვე, კურსადმთავრებულის კითხვარი, რომელიც მათ საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების საშუალებას მისცემს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის განვითარების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა და სილაბუსები
- აუდიტის სამსახურის კვლევის შედეგების ანგარიში 2016
- დეპარტამენტის სხდომის ოქმები (პროგრამებისა და მასში შესატანი ცვლილებების განხილვის შესახებ)
- ხარისხის სამსახურთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
საბუთების შესწავლისა და ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამას და იძლევა რეკომენდაციებს მისი სრულყოფისათვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეაფასა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა. შეფასების პროცესში ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები. შეფასება განხორციელდა შეხვედრების პროცესში, ასევე გამოკითხვებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. მიღებული ინფორმაცია შესწავლილ იქნა, რის საფუძველზე გამოვლინა ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. პროგრამის შემუშავებისას ხდებოდა პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან. საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების და აკრედიტაციის მზადების პროცესში ასევე ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი და სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია, რომლის მიზანია იყო ფაკულტეტის მიერ წარდგენილი და მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის პერიოდული შეფასება. შეფასების პერიოდულობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

გასაუბრებიდან ირკვევა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროცესის მიმდინარეობის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით და უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით მონაწილეობს ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმების, მათი რეალიზებისა და განხორციელების კონტროლის მეთოდოლოგიის სრულყოფაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამა და სილაბუსები ○ სხდომის ოქმები (პროგრამებისა და მასში შესატანი ცვლილებების განხილვის შესახებ) ○ ხარისხის სამსახურთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები; ○ სტუ–ს რექტორის ბრძანება 28.03.2016 № 42 ,,ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ"; ○ სტუ–ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის დადგენილება № 450 ,,სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის შესახებ"; ○ სტუ–ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილება № 531 სტუ-ს ○ პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ ○ უცხოურენოვანი პროგრამები ○ შოტლანდიის მაღალმთისა და მყინვარების უნივერსიტეტი The University of the ○ Highlands and Islands https://www.perth.uhi.ac.uk/subject-areas/centre-for-mountainstudies/ ○ ვენის ბუნებრივი რესურსებისა და სიცოცხლის მეცნიერებათა უნივერსიტეტი ○ University of Natural Resourses and Life Sciences, Vienna, Austria (BOKU) https://boku.ac.at/en/ ○ ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტი https://business.fiu.edu/fiubusiness/mibonline/index.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული მეურნეობის სისტემის მართვა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
დავით სიხარულიძე
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
ანა ბოკუჩავა

ლევან გოგოლაძე

ნიკოლოზ ბაგაური